


გვერდი


№5, 2012

საქართველო
108-3
საქართველო



მწიგნობარა

ლელა ცუცქირიძე



ჩემ მეზობლად ერთი პატარა ბიჭი ცხოვრობს. პატარა-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ ჩემთან შედარებით პატარაა, თორემ ისე, აბა, ცხრა წლის ბიჭს უთხარი, პატარა ხარო – ნამდვილად ენყინება, მაშინვე გეტყვის: პატარა კი არა, დიდი ვარო და მართალიც იქნება!

იმას ვამბობდი: ჩემ მეზობლად პატარა ბიჭი ცხოვრობს.

ამ ბიჭს სულ წიგნი უჭირავს ხელში. რამდენჯერ მინახავს, ფეხბურთის თამაშის დროსაც კი, იქვე გადაშლილი წიგნი უდევს; როგორც კი დროს იხელთებს, მიირბენს, ცოტას გადაიკითხავს და მერე ისევ ბურთს გაეკიდება.

ბიჭს მწიგნობარას ეძახიან. არ ვიცი, ეს სახელი ვინ დაარქვა, მაგრამ თავად ძალიან მოსწონს და, რადგან მოსწონს, მეც ასე ვეძახი.

ჰოდა, ამ მწიგნობარაზე გიყვებით.

ზაფხულის არდადეგებზე მწიგნობარა სოფელში წაიყვანეს მშობლებმა – ბებიასთან და პაპასთან.

პაპამ მწიგნობარას ერთი ჩოკინა დაახვედრა. ისეთი ჩოკინა იყო, ავ თვალს არ დაენახვებოდა – ლამაზი, დიდთვალეა, დაბაკუნობდა ეზოში და ყველას კუდში დასდევდა.

მწიგნობარა რომ დანახა ხომ, სულ გადაირია სიხარულისგან – ხომ იცით, პატარა ცხოველებს პატარა ბავშვები ყველაზე მეტად უყვართ ამქვეყნად.

მწიგნობარამ ეზო მოიარა; მეზობლებშიც

გადავიდა, ყველა მოიკითხა; წყაროს წყალი ამოიტანა; ხიდან თუთა ჩამოკრიფა, ბოსტანი მორწყო. მოკლედ, პაპასა და ბებიას მიეხმარა, მერე ჰამაკში ჩაჯდა და წიგნის კითხვა დაიწყო. დამავიწყდა მეთქვა, რომ მწიგნობარამ სოფელში ძალიან ბევრი ფერადყდიანი წიგნი ჩაიტანა. აბა, მწიგნობარა იყო და უწიგნოდ ხომ არ წავიდოდა?!

– რას აკეთებ? – მიაკითხა სწორედ ამ დროს მეზობლის ბიჭმა, – ნამოდი, ფეხბურთი ვითამაშოთ.

– ფეხბურთი საღამოს ვითამაშოთ, – უთხრა მწიგნობარამ, – ახლა შუადღეა და წიგნის კითხვა მიჩვევია.

– რა ლამაზი წიგნია, – გაუკვირდა მეზობლის ბიჭს, მწიგნობარას წიგნი გამოართვა და ინტერესით გადაფურცლა.

– ბევრი მაქვს ასეთი, გინდა დაათვალიერო? – მწიგნობარა ჰამაკიდან ჩამოხტა და მეზობლის ბიჭი ოთახში შეიყვანა.

მეზობლის ბიჭმა გაცეცხით დაუსტვინა – ამდენი ლამაზი წიგნი ერთად არც ენახა: დიდი, პატარა, ფერადყდიანი, ნახატებიანი, ენციკლოპედიები, ატლასები, მოთხრობები, ლექსები – სულ და გულო, ისეთი წიგნები იყო, კითხვა რომც არ გყვარებოდა, თავს მაინც წაგაკითხებდა!

– ეჰ, ჩვენთან არავის არა აქვს ასეთი წიგნები, – დანანებით თქვა მეზობლის ბიჭმა, – არა-

და, რომ მქონდეს, ვიკითხავდი და ვიკითხავდი. მწიგნობარამ ბიჭს ერთი წიგნი ამოურჩია და ათხოვა, მაგრამ მთელი ღამე ფიქრში გაატარა. იფიქრა, იფიქრა და აი, რა მოიფიქრა:

– პაპა, გეხვეწები, ისეთი ურიკა გამიკეთე, ჩვენმა ჩოკინამ რომ შეძლოს ტარება, – სთხოვა დილით პაპას.

– ურიკა რად გინდა? – კი გაუკვირდა პაპას, მაგრამ უარი არ უთქვამს, მაშინვე შეუდგა საქმეს. პაპას მწიგნობარაც მიეხმარა და მალე ისეთი ლამაზი ურიკა გააკეთეს, რომ ჩოკინა დანახვისთანავე მიბაკუნდა და აღარ მოშორდა, დროზე შემაბითო.

მწიგნობარამ ჩოკინა გამოპრანჭა: ყელზე წითელი ბაფთა გაუკეთა, თავზე ჩალის ქუდი დაახურა და გრძელი ყურები ამოაყოფინა, კისერზე პატარა ზანზალაკი ჩამოჰკიდა, მერე გამოიტანა ფერად-ფერადი წიგნები და ურიკაში ჩაალაგა.

– სად მივაქვს წიგნები? – ჰკითხა გაოცებულმა ბებია.

– ბავშვებთან. რომელი წიგნიც მოეწონებათ, ვათხოვებ, მერე ჩამოვივლი, წაკითხულ წიგნებს გამოვართმევ და ახლებს დაფუტოვებ, – აუხსნა მწიგნობარამ, – აბა, ჩოკინა, შენ იცი, – მიეფერა მერე ჩოკინას და ეზოდან გაიყვანა.

მიბაკუნობდა გზაზე ჩოკინა, მიჰყვებოდა გვერდით მწიგნობარა.

ზანზალაკის წკარუნზე ეზოებიდან ბავშვები გამოდიოდნენ; ხედავდნენ ლამაზ ურიკაში ჩალაგებულ ფერად-ფერად წიგნებს და ერთი სული ჰქონდათ, როდის გადაშლიდნენ.

– აქ ცხოველებზე წერილი, აქ ფრინველებზეო; ეს ძალიან კარგი მოთხრობააო, ეს ზღაპრების წიგნიაო, ეს გამოცანებისო, – უხსნიდა ბავშვებს მწიგნობარა და წიგნებს ურიგებდა.

ყველა გახარებული იყო: ბავშვებიც, მწიგნობარაც და ჩოკინაც.

ახლა, ეს ამბავი საიდან იციო, მკითხავთ.

საიდან და, ამას წინათ რაღაც საქმეზე შევედი მწიგნობარას დედასთან და სწორედ ამ დროს მწიგნობარას პაპა ჩამოვიდა სოფლიდან.

გაიხარა მწიგნობარამ, პაპას ჩაეხუტა და მაშინვე ჰკითხა:

– როგორ ხარ, პაპა, ბებო როგორ არის, ჩემი ჩოკინა როგორ არის?

– ბებო კარგადაა, აი, ჩოკინა კი... ეს რა მიქენი, კაცო, რა დღეში ჩამაგდე, – თავი გადააქნია პაპამ.

– რა იყო, პაპა, რა მოუვიდა ჩემს ჩოკინას? – შეწუხდა მწიგნობარა.

– რა და, მიადგება ყოველ დილას თავის ურიკას, გინდა თუ არა, შემაბითო, არ გვასვენებს. შევაბამ მეც და ფულეზ ჭიშკარს. მიდის ჩოკინა, მიანკრიალებს იმ თავის ზანზალაკს და დააქვს შენი დატოვებული წიგნები.

– თავისით, პაპა? – გულიანად გაიცინა მწიგნობარამ, – თავისით დააქვს, მარტოს?

– მარტოს, მაშ, მე მაგდენი დრო სად მაქვს, მაგ სულელს ვსდიო, – გაეცინა პაპას.





– მერე, პაპა, მერე? – აღარ მოეშვა მნიგნობარა.

– რა მერე, გამოდიან მეზობლის ბავშვები ეზოებიდან, გამოაქვთ უკვე წაკითხული წიგნები – სულ მოვლილი, ისევ ისე პრიალები და ლამაზები, აწყობენ ურიკაში და იღებენ სხვებს. არც ჩოკინასთვის ავინყდებათ მადლობის თქმა: ხან ბალახს მიაწვდიან, ხან რაიმე სასუსნავს; აი, გიგო როა, ჩვენი მეზობელი, იმან ახალი ზანზალაკიც კი ჩამოჰკიდა კისერზე. ჰოდა, დადის ესეც და დააქვს წიგნები. ეგ კიდევ არაფერი, მობაკუნდება მერე და, როგორც კი ურიკიდან გამოვხსნი, თავად იწყებს წიგნების თვალღებებს! არა, გაგიგიათ ეგეთი ჩოკინა, რომ წიგნი უყვარდეს?! გაგიყვებულება ყველა. სურათებიც გადაუღეს და გაზეთშიც გამოჭიმეს. ისე, ის წიგნები სულ გადაიკითხეს ბავშვებმა და ჩვენმა ჩოკინამაც. ჩამოგიტანე და აბა, შენ იცი, სხვები გამატანე.

– გაგატან, პაპა, გაგატან, მაგრამ ერთი კარგად მითხარი, ვინ გამოჭიმეს გაზეთში, ჩოკინა? – უფრო გულიანად გაიცინა მნიგნობარამ.

– ჩოკინა, მაშ! დიდი სახელოვანი გაგვიხდა და რა ვქნა, ენციკლოპედია ხო არ დამერქმია, ჰა? მაგისტვისაც ჩამოვედი, შენთვის ეგ უნდა მეკითხა, – ეშმაკურად ჩაიღიმა პაპამ.

– ენციკლოპედია? დავარქვით, ჰო, კარგი სახელია, კარგი, – ახლა სულ გადაბჟირდა სიცილისგან მნიგნობარა.

აი, მაშინ გავიგე ზაფხულის ამბავიც – ერთმანეთს ასწრებდნენ პაპა და შვილიშვილი მოყოლას.

თუ არ გჯერათ, წადით მნიგნობარას სოფელში და თქვენი თვალით ნახეთ, როგორ მიდის შარაგზაზე პატარა, ლამაზი ჩოკინა, თავზე ჩალის ქუდი ახურავს, ყელზე წითელი ბაფთა უკეთია; ორი ზანზალაკი ჰკიდია – ერთი ოქროსფერი, ერთი – ვერცხლისფერი.

მიდის, მიბაკუნობს მხიარულად და პატარა, ლამაზ, ფერადყდიანი წიგნებით სავსე ურიკას მიაჩაქჩაქებს.



მხატვარი ნანა სანაია

ქონჯუხსი

საჩუქრის მისაღები
კითხვები:



ვინც პირველი გამოგზავნის სწორ პასუხებს Facebook-ის გვერდზე „საბავშვო გამოცდებოვ დილა“, დასაჩუქრდება „დილის“ ერთ-ერთი გამოცდით!

1. „ღმერთი იყო სიტყვა იგი,“ – ასე იწყება იოანეს სახარება. რა იგულისხმება ამ ფრაზაში?
2. რომელ საუკუნეში გაჩნდა ტერმინი „საქართველო“?
3. როდის შეიქმნა ქართული ანბანი?
4. რას ნიშნავს სალიტერატურო ენა?


ამოხადრებუდი პირამიდა

ამ უცნაური პირამიდის შევსება აუცილებლად ქვევიდან უნდა დაიწყოს. ჩანერე პასუხები იმ ნომრის შესაბამისად, რომელიც კვადრატის ცენტრშია მოცემული.

ყველა სიტყვა იწყება ცისფერი უჯრიდან და იკითხება ხაათის ისრის მიმართულებით. გაეკ' ორი მინიმუმბა: უჯრებში, რომლებიც ისრებით ერთდება, ერთი და იგივე ასო მეორდება; ამოცანის გასაადვილებლად ყველა კვადრატში თითო ასოა ჩანერილი.

1. გოგრისებრთა ოჯახის ბაღჩეული, რომელიც სულაც არ ჰგავს გოგრას;
2. მთლიანად ან ნაწილობრივ თეთროთმიანი ადამიანი ან ცხოველი;
3. ჯიქი, იგივე ...
4. საზოგადოებრივი კვებისთვის განკუთვნილი დაწესებულება;
5. მოწყობილობა რისამე გასაცვივებლადან ცივად შესანახად;
6. სკოლაში წასვლის შემდეგ გქვია ...
7. საღამოარყო აპარატი მიკროფონითა და ზარით;

8. ჩიტების დასაჭერი ერთგვარი მახვი;
9. სტადიასვა ინსტრუმენტზე დამკვრელ მუსიკოსთა ჯგუფი;
10. უმაღლესი სამხედრო ნოდება;
11. თანამდებობათა, ნოდებათა კიბე;
12. ტოლგვერდებიანი სნოოკუთხედი;
13. რას აგორებენ ნარდის მოთამაშენი;
14. ამ მანქანამ შეცვალა ხარისხ გუთანი;
15. ერთ-ერთი უსწრაფესი წყვილჩლიძოსანი ცხოველი.



შვილები დიდ მამებსზე

რუბრიკას უძღვება **თამაზ კვაჭანტირაძე**



ლეო ქიაჩელი ახლოდან

ლეო ქიაჩელი, ყმანვილებო, დიდი ქართველი მწერალია, ხოლო ყოველი დიდი მწერალი, გარკვეული აზრით, საბავშვო მწერალიც გახლავთ: აკი თქმულა – ბავშვებისთვისაც ისევე უნდა ვწერდეთ, როგორც დიდებისათვის, ოღონდ – უკეთესად. ლეო ქიაჩელს ბევრი საყმანვილო მოთხრობა და უწერია, მაგრამ „სადიდო“ რომანებშიც ბევრი რამ არის აღმზრდელის, მონოდებით შედაგოგის თვალთ დანახული და მხატვრულად ხორცშესხმული.

ლეო ქიაჩელის ასი წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო ნომერს („ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“, 1984, 2) როცა ვამზადებდი, მწერლის შვილიშვილებს – ფილოლოგ ნანა შენგელაიასა და ინჟინერ ნოდარ ფარცხალაძეს – ვესტუმრე, თავიანთ პაპაზე ვესაუბრე და ახლა, ყმანვილებო, შვილიშვილების თვალთ დანახულ ლეო ქიაჩელის ანუ ლეო-ბაბუს პორტრეტს გთავაზობთ:

– როგორ პირობებში უხდებოდა წერა და მუშაობა ლეო ქიაჩელს?

ნანა შენგელაია: მაინცდამაინც მყუდრო მუშაობის პირობები არა ჰქონია. ჩვენს ბინას ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩაზე ვიწრო არ ეთქმოდა, მაგრამ ჩვენთან მუდმივად ცხოვრობდა რამდენიმე ნათესავი. ლეო-ბაბუ სადაც მუშაობდა, იქვე ეძინა; იმ ოთახშივე გვედგა ტელეფონი, რომელიც მძაფრ ექსპლუატაციას განიცდიდა, განსაკუთრებით – ჩემგან. ბაბუაჩემი მოთმინებით იტანდა ტელეფონის თითქმის უწყვეტ ზარს – ხანდახან თუ შესჩივლებდა გერონტი ქიქოძეს: – Живу в телефонной будке! დღისით საწერ მაგიდასთან არც გვინახავს, „ლამურა“ იყო; ამიტომ პატარაობისას გვიკვირდა კიდევ, რაიმეს რომ დაბეჭდავდა – ნეტავ, როდის დანერაო.

– რა პიროვნული თვისება გამოარჩევდა განსაკუთრებულად ბატონ ლეოს?

ნოდარ ფარცხალაძე: სიდარბაისლე.

ნანა შენგელაია: და კიდევ – გულისხმიერება; არაჩვეულებრივად ყურადღებიანი იყო: ერთხელ ისე ნაჩქარევად მოუწია მოსკოვს გამგზავრება, რომ არ დამშვიდობებია. მეორე დილითვე დეპეშა მივიღე: *Заныл попроситься, прости – Бабу Лео*. ეტყობა, მატარებლიდანვე გამომიგზავნა. მარტო შინაურებთან არ ყოფილა ასეთი ტაქტიანი და დელიკატური: ბოლო ხანებში ჭავჭავაძის აღმართზე ამოსვლა უკვე უჭირდა, მით უფრო – ზამთარში, რუსთაველზე გასეირნება კი უყვარდა. ჰოდა, მოადგებოდა აღმართს, დაიჭერდა ტაქსს, მაგრამ ორასიოდე მეტრისათვის მისი „მოცდენა“ ეუხერხულებოდა – მაშინ მრიცხველი ამ მანძილზე საერთოდ ვერ ასწრებდა თანხის ჩამოყრას. ჩაუჯდებოდა მძღოლს, მოატარებდა მოედანს, „ზემელს“, მერე აახვევინებდა გრიბოედოვზე და ასე მოაყვანინებდა თავს შინ.

ჭირის დღესავით ეზარებოდა ვინმეს შეწუხება პირადი საჭიროებისათვის. ჩემზე ამოსდიოდა მზე და მთვარე, მაგრამ, როცა მუსიკალური ათწლედიდან ამორიცხვა დამიპირეს, რაკი უნივერსიტეტში გავსტუდენტდი, ლეო-ბაბუ ვერ ვაიძულე დაერეკა, სადაც ჯერ იყო – თუ სხვებისთვის არ შეიძლება, არც შენთვისო. ვეუბნები – სხვები ყველანი უმტკივნეულოდ აგვარებენ ამ საქმეს-მეთქი, ის მაინც თავისაზე დგას! ამ ხვეწნა-მუდარაში მეზობელმა შემოგვისწრო, ამ უბრალო საქმეზე ბატონ ლეოს როგორ აწუხებო, აიღო ყურმილი და ელემენტარულად მოაგვარა ყველაფერი... და – ერთიც: ალბათ, გახსოვთ, რა ამბებიც იყო რიხტერის გასტროლებზე... მივდექ-მოვდექით, რას იშოვი ბილეთს! არადა, ლეო ქიაჩელმა რომ დაურეკოს, ბილეთს ვინ დაუკავებს! საშველი რომ აღარ ჩანდა, – ბა-

ბუ, მიშველე-მეთქი, მაგრამ – თუ სხვები დგებიან რიგში და იღებენ ბილეთს, შენც ასე უნდა გაისარჯოო – მეუბნება. ვუხსნი, რომ რიხტერზე არავითარ ბილეთებს სალაროში არ ჰყიდიან... ბოლოს, ცოცხლად რომ შევჭამე, როგორც იქნა, დავარეკინე ოპერის თეატრის დირექტორთან.



– რამდენად ერეოდა ლეო ქიაჩელი თქვენს სასკოლო საქმიანობაში, თუ გირჩევდათ, რა ნაგეკითხათ, თუ გეხმარებოდათ სწავლაში?

ნოდარ ფარცხალაძე: ამ მხრივ ნანა ჩვენს ოჯახს და, ცხადია, პაპასაც არავითარ პრობლემას არ უქმნიდა, ჩემთან კი უფრო რთული ვითარება გახლდათ – ბიჭების ამბავი მოგეხსენებათ. ლეო-ბაბუ თვალყურს ადევნებდა ჩვენს მეცადინეობას და ზოგჯერ გვეხმარებოდა კიდევ: მახსოვს, ნანას ლათინურს ამეცადინებდა, მე კი როცა ალგებრაში ან ტრიგონომეტრიაში გამიჭირდებოდა, რა სირთულის ამოცანის ან მაგალითის ამოხსნაც უნდა მეთხოვა, არ მახსოვს, გავენბილებინე: შეიტანდა თავის პატარა ოთახში, ბერის საკანს რომ ჰგავდა, და თხუთმეტი წუთის შემდეგ ბოლომდე ჩამონიკნიკებული ფურცლით გამოვიდოდა; გამოვიდოდა, მაგრამ რა – სანამ არ მომისვამდა გვერდით და თავიდან ბოლომდე არ ამიხსნიდა, მანამ იმ ფურცელს ვინ გაგაკარებდა! ერთი სული მქონდა, ვიდრე ხელთ ვიგდებდი, მაგრამ იქამდე „მიდებდა თავში“ გადასანერ მასალას, რომ მერე აზრიც ეკარგებოდა გადანერას – უკვე შემეძლო ზეპირად ამომეხსნა ის მაგალითი თუ ამოცანა.

– განყრომა თუ იცოდა?

ნანა შენგელაია: მე პირადად ბაბუას ანეული ხმა არ გამიგონია!

ნოდარ ფარცხალაძე: მე გამიგონია და, მართალი გითხრათ, არც არასოდეს დამავინწყებდა... მაშინ შინ მარტო დედაჩემი, მე და ბაბუა ვიყავით. მერვე თუ მეცხრე კლასში ვარ, მოკლედ, აცვენის პერიოდს რომ იტყვიან, ის მიდგას. რაღაცაზე დილიდანვე ავტყდი – ეტყობა, მარცხენა ფეხზე ავდექი; სახლიდანაც, ერთი სული მაქვს, როდის გავვარდები, დედაჩემი კი ამ დროს ტვინს მიბურღავს, რაღაც „ნოტაციებს“ მიკითხავს... მომეშვით-მეთქი, ერთი შევიღრინე, კარი გამოვიჯახუნე და, ის იყო, კიბეზე უნდა დავშვებულყავი, რომ – მობრუნდი! – ბაბუას ღრიალი მომესმა... ნანამ მართალი მოგახსენათ, შინ მისი ანეული ხმა არ გავგეგონა და, წარმოიდგინეთ, მის ყვირილზე რა დამემართებოდა... მუხლები მომისავდა, თითქოს შიგანი ამომიბრუნდა... მომკლავს, მომკლავს და ახიცი იქნება-მეთქი ჩემზე – ესლა მიტრიალებს თავში. მივბრუნდი, მაგრამ ფეხები უკან მრჩება. ბაბუას ვერ ვუყურებ, მაგრამ ვგრძნობ, რომ რაღაც საშინელება მოხდება. ბაბუა დუმს... მერე ნყნარად მეუბნება: „ახლა ადამიანურად გაიხურე კარი“. ამის შემდეგ – გინდ დამიჯერეთ, გინდ არა – ჩემს ცხოვრებაში ბევრიც მიყვირია, ზოგჯერ, სამწუხაროდ, წონასწორობაც დამი-

კარგავს, მაგრამ კარი არასოდეს გამიჯახუნებია.

– მშობლების მზრუნველობა შვილებზე ხშირად განებივრებაში გადადის; როგორ შეაფასებდით ამ თვალსაზრისით ლეო ქიაჩელის ურთიერთობას თქვენთან?

ნანა შენგელაია: მშობლებისგანაც ვიცი და თავადაც გვახსოვს, რომ ლეო-ბაბუს არაფერი მოუკლია არც შვილებისთვის და მერე არც ჩვენთვის, შვილიშვილებისთვის. იმდენად მატერიალურ უზრუნველყოფაზე არ მოგახსენებთ – თუმცა მთელი ომის უმძიმესი წლები და მერეც ჩვენი ოჯახები ბაბუას ანვა კისერზე... თუ წარმოგიდგენიათ სამოცს მიტანებული ლეო ქიაჩელი – „გვადი ბიგვასა“ და „ჰაკი აძბას“ ავტორი – ფასანაურში როგორ ცვლიდა სურსათ-სანოვარეში თავისი გარდერობის მშვენიერებას – კრაველის ქუდს? როცა ძალიან გაგვჭირვებია, როცა ქვეყანა შიმშილობდა, ჩვენ რომ პური არ მოგვეკლებოდა, ბაბუას ესეც გაუკეთებია. „ბუხანკა“ პური კი მაშინ თურმე ოთხმოცი მანეთი ღირდა. მაგრამ, არაფერს გვაკლებდა-მეთქი, რომ ვამბობ, მე უფრო სულიერ საზრდოს ვგულისხმობ. ბაბუა არ გახლდათ ის კაცი, ვინც თავის შვილებს ან შვილიშვილებს გააზულუქებდა ან ჩაცმით, ან კომფორტით, ან ნივთით. ნივთის კაცი საერთოდ არ ყოფილა, თავისთვის აბსოლუტური მინიმუმით კმაცყოფილდებოდა – ერთ კოსტიუმს ატარებდა ათ წელიწადს, სამაგიეროდ შვილებისა და შვილიშვილებისათვის არ დაუკლია არც მუსიკისა და არც უცხო ენათა მასწავლებლები.



გრაფიკული პიუზია

ვასილ გულუური





დასტრიალებს
 კარებს-წიწილას,
 დაფხორილი
 დააბოტებს.
 სამთარ-ხაფხულ
 არ იშორებს
 წითელ კაშნებს
 და ჭრელ შორტებს.

თავზე წითელ
 ბერეტიანს
 მას რომ ჰკითხოთ,

გაღვიძებას
 არც აღიარებს
 ვიდრე ის არ დაიყვირებს,

ცაზე

მზეც
 არ

ამოდის.

მუდამ პირი.
 არ არის
 სხვა
 ღი მისნაირი.
 არვის აცდეს,
 უწყებს ლოდინს.



ჩოგბურთი




ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთსა და რომში არსებობდა თამაში, რომელიც თანამედროვე ჩოგბურთს წააგავდა, მაგრამ ამ უძველესი ცივილიზაციის ქვეყნებში წესებიც და მოთამაშეთა აღჭურვილობაც სხვაგვარი იყო. XIII—XIV საუკუნეებში ჩოგბურთის მსგავსი თამაში პოპულარული გართობა იყო საფრანგეთის, ინგლისის, ესპანეთის მეფეთა კარზე და, როგორც სანახაობა, წარმატებით უწევდა კონკურენციას რაინდთა ორთაბრძოლებს. საფრანგეთში მას „ჟე დე პომი“ (ვაშლით თამაში) ერქვა, იტალიაში – რომის ტრიგონი. მაგრამ შუა საუკუნეებში ეს თამაში არცთუ უსაფრთხო იყო: „ჩოგბურთით“ გატაცებული დიდგვაროვნები ბურთს ერთმანეთს ხელით აწოდებდნენ და ამიტომ ტრავმებისგანაც არავინ იყო დაზღვეული. ჩოგანი, როგორც სპორტული ინვენტარი, მხოლოდ XV საუკუნის მიწურულს გაჩნდა. 1610 წელს პარიზში ჩოგნების ხელოსანთა გაერთიანებაც კი დააარსეს.


დროთა განმავლობაში სამეფო ოჯახების წევრთა და დიდგვაროვანთა ყოველდღიური გასართობი უბრალო ხალხმაც შეიყვარა. სწორედ მაშინ იქცა ჩოგბურთი სპორტის სახეობად. წარმოიშვა ჩოგბურთის მოყვარულთა პირველი სტიქიური გაერთიანებები; ხალხის თავშეყრის ადგილებში მოეწყო ჩოგბურთის მოედნები. გამოჩნდნენ პირველი ჩემპიონები მდაბიოთა ფენების წარმომადგენელთაგან. ამას არისტოკრატები მტკიცებულად განიცდიდნენ, ვინაიდან ჩოგბურთი მაინც თავიანთ საკუთრებად მიაჩნდათ.

1875 წელს ინგლისელმა სპეციალისტებმა შეიმუშავეს ჩოგბურთის პირველი, ყველასთვის ხელმისაწვდომი წესები, რომელიც მცირე შესწორებებით დღესაც ძალაშია. ამ წესების თანახმად, თამაშს ოფიციალურად „ლაუნ-ტენისი“ (lawn – ინგლისურად მინდორს ნიშნავს) უწოდეს. თავდაპირველად ჩოგბურთს მხოლოდ ბალახით დაფარულ მოედანზე თამაშობდნენ. მერე ნელ-ნელა შემოვიდა მიწისა და წვრილაგურნაყარი მოედნები. ჩოგბურთს თამაშობდნენ ასფალტის ან ბეტონის საფარიან მოედნებზეც, არც ისე დიდი ხნის წინათ კი მან დარბაზებშიც შეაღწია. ამ პერიოდიდან მოყოლებული, თამაშს ტენისის (ქართულად – ჩოგბურთს) უწოდებენ.

მუდამ ტრადიციის ერთგული ინგლისელები ადვილად ვერ ეგუებინან სიახლეებს და ამიტომ დღესაც შენარჩუნებულია ჩოგბურთში ქულათა ათვლის ძველი წესი, რომელიც ბევრისთვის გაუგებარია. მართლაც, რატომ იცვლება ჩოგბურთში ანგარიში ასე უთანაბროდ – ერთ მოგებულ გათამაშებაზე მოთამაშეს 15 ქულა ეწერება, შემდეგ მოგებულზე – ასევე 15 ქულა, მესამეზე კი – 10 ქულა



10




(ე. ი. 15:0-ს 30:0 მოჰყვება, მერე 40:0) და ამის შემდეგ – გამარჯვება. განა უფრო მარტივი და გასაგები არ იქნება ათვლის ჩვეულებრივი თანამიმდევრობა – 1:0, 2:0, 3:0? რა თქმა უნდა, იქნებოდა, მაგრამ ინგლისელებმა ვერ უღალატეს ტრადიციას – ძველად ჩოგბურთს მხოლოდ ფულზე თამაშობდნენ. პირველი მოგებულ ქულისთვის დაწესებული იყო თხუთმეტი სუ (ფრანგული კაპიკი), მეორისთვისაც – ამდენივე, მესამისთვის კი უფრო ნაკლები – ათი სუ, რათა დამარცხებულის ჯიბე ძალიან არ შეთხელებულიყო.


1877 წელს ინგლისში საფუძველი ჩაეყარა თანამედროვე ჩოგბურთის ყველაზე საინტერესო და პრესტიჟულ ტურნირს — უიმბლდონის ტურნირს (უიმბლდონი ლონდონის გარეუბანია). ეს ტურნირი, ამავე დროს, მსოფლიოს არაოფიციალური ჩემპიონატია ბალახის კორტებზე. ჩოგბურთის სამყაროში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კიდევ სამ შეჯიბრებას – ავსტრალიის, საფრანგეთისა და აშშ-ის ღია ჩემპიონატებს. ჩოგბურთელი, რომელიც ერთ სეზონში ოთხივე შეჯიბრებას მოიგებს, ყველაზე საპატიო ტიტულის – „გრანდ სლემის“ მფლობელი ხდება. ასეთი ჩოგბურთელები თითოეულზე არიან ჩამოსათვლელნი არიან. ბოლოს ეს ჯილდო გადაეცა გერმანელ ჩოგბურთელ ქალს შტეფი გრაფს.

საქართველოში ჩოგბურთს არც ისე დიდი ხნის, მაგრამ მყარი ტრადიცია აქვს. სპორტის ამ სახეობის განვითარება ჩვენს ქვეყანაში დასაბამს იღებს XIX საუკუნის დამლევადან, როცა ინგლისის ფირმა „Forward and salinas“-ის მმართველმა ჯონ ტარსემი ჭიათურის მკვიდრთ ახალი თამაში გააცნო. გამოჩენილი ჩოგბურთელისა და პედაგოგის, იან ჰომერის გადმოცემით, საჩოგბურთო სანახაობას აკაკი წერეთელიც დასწრებია ოჯახის წევრებთან ერთად. ჭიათურიდან ჩოგბურთი გავრცელდა ჯერ თბილისსა და ბათუმში, მოგვიანებით კი – სხვა ქალაქებშიც. 1910 წელს თბილისში დაფუძნდა ჩოგბურთის პირველი საზოგადოება.


ყველაზე პოპულარული ქართველი ჩოგბურთელია ალექსანდრე მეტრეველი, რომელიც 16-ჯერ იყო ევროპის ჩემპიონი, 29-ჯერ — სსრკ ჩემპიონი, წარმატებით გამოდიოდა უიმბლდონის ტურნირსა და სხვა საერთაშორისო შეჯიბრებებში. ევროპის ოთხგზის ჩემპიონი იყო თეიმურაზ კაკულია, იგი 11 წელი შედიოდა სსრკ საუკეთესო ჩოგბურთელ კაცთა ათეულში. შემდეგ ასპარეზზე გამოვიდა ჩოგბურთელთა ახალი თაობა. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ლეილა მესხი, ირინე მალაციძე, ვლადიმერ გაბრიჩიძე, დავით კაჭარავა. ლეილა მესხმა ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს მედალი მოიპოვა (წყვილთა თანრიგში) და მრავალი წლის განმავლობაში მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელ ქალთა ოცეულში შედიოდა.



ჩოგბურთის მატჩი შედგება 3 სეტისგან (პარტი-ისგან). მნიშვნელოვან ტურნირებში კაცები 5 სეტს თამაშობენ. სეტი შედგება გეიმებისგან. სეტში გამარჯვებულად ითვლება ის, ვინც პირველი მოიგებს 6 გეიმს, ოღონდ სულ ცოტა 2-გეიმიანი სხვაობით. თუ მეტოქეებმა 6-6 გეიმი მოიგეს, ინიშნება „ტაი-ბრეიკი“ 7 მოგებიან ქულამდე (აუცილებელი 2-ქულიანი სხვაობით). თამაშის მოსაგებად ჩოგბურთელმა უნდა მოიგოს 2 სეტი.



გრანდ სლემის ფორმული ტურნირების ალმინუმული ტურნირში (ბანქოს თამაში), ერთი მოთამაშის მიერ ყველა ადების მოგება აღსანიშნავად. ჩოგბურთის გარდა გრანდ სლემი მიღებული რაგბიში, გოლფში, ტრამპლინიდან თხილამურებით სტომაში.





კლავსო სრჩემნები

ყველამ იცით, ნადირთ მეფე
დღემდე ლომი იყო მუდამ.
ხმას ვერავინ ვერ იღებდა,
თუმც მეფობა სხვებსაც სურდათ.

ვასილ
ბულეური



შეიცვალა ცხოვრება და
ახმაურდნენ ცხოველები:
— თუა დემოკრატიაო,
ჩავატაროთ არჩევნები.



შეადგინეს სიები და
გამოაკრეს შინ თუ გარეთ.
ტურა დასვეს საარჩევნო
კომისიის თავმჯდომარედ.



თვლა არ უჩანთ დამკვირვებლებს,
გრძელი რიგი დადგა მათი —
არქტიკიდან საგანგებოდ
ჩამოვიდა თეთრი დათვი.

ავსტრალიის შტატებიდან
კოალა და კენგურუა,
აქლემია უდაბნოდან,
მერე რა, რომ ცოტა ყრუა.




შეკვრა ბიულეტენების
მოიტანეს სისხამ დილით,
საგანგებოდ ევკალიპტის
ფოთლებზეა დაბეჭდილი.




ზედ წერია სახელები,
ყველას თავის ნომერი აქვს:
პირველია მელაკუდა,
რიცხვი ორი ერგო წიანგს.

მხატვარი
ლაშა სულაკაური




მესამეა თავად ლომი —
მასაცა აქვს ამის ნება.
ცხოველებმა გადანყვიტონ
მათი მეფე ვინ იქნება.

სიაშია კიდევ ორი,
რომელია დასაწუნი —
მეოთხეა თუთიყუში,
მეხუთე კი — მაიმუნი.



ხმაურია, ყაყანია,
ვინ რას ყვირის, ვერვინ იგებს.
უირაფი დგას უბანზე და
ცხოველთა რიგს აწესრიგებს.

როცა ყველამ გააკეთა
უკვე თავის არჩევანი,
დაიხურა უბნები და
არვინ იყო მომჩივანი.



ყველა ყუთი მოაგროვეს,
რათა ერთად დაიცალოს,
შეიკრიბა კომისია,
ხმები უნდა დაითვალოს.



მათ გარშემო დამკვირვებლებს
თვალი ფხიზლად კი ეჭირათ,
მაგრამ, ბიულეტენები,
თქვენც ხომ გახსოვთ, მათდა ჭირად,
ევკალიპტის ფოთლებისგან
რომ დაბეჭდეს საგანგებოდ.
კოალამ კი, ამ მსუნაგმა,
კარგად იცის მისი გემო,
ვერ გაუძლო ცდუნებას და
ფოთლის გროვას ეცა სწრაფად,
სანამ ვინმე გონს მოვიდა,
ყველა ერთად გადაყლაპა...



.....
ჩაიშალა არჩევნები,
დრო ტყუილად დაიხარჯა.
ევკალიპტი კოალას და
მეფობა კი — კვლავ ლომს დარჩა!

ნილი

ბილოსავთ!


ლილი

ბენი

ანი

მუსი

ნი



დაეხმარე თავუნის,
გაიაროს ლაბირინთი
და პირი ჩაიტკბა-
რუნოს საოცნებო
თხილით.





ყვანაშა კანარებისთვის

რისი შიში და რა შიში,
გრივალს აიტანს, გაუძლებს...
სცნობს ქვეყნად ყველა ქათამი
ამ ნავის მამაც კაპიტანს, —
იხვს ცისფერ მაისურიანს,
ვისაც ზღვა გაუცურია...
მშვიდად ზის კრუხი ოჯახით,
ისმენს ბაყაყის მოძახილს.

ანზორ აბულაშვილი

მხატვარი
ა. კანდელაკი



„დილის“ არქივიდან

მხიარული ლექსები

მამალი

ნოდარ ღუმბაძე



როცა ავად ვიყავი,
ვსვი და ვულაპე წამალი,
და დედის სანუქრად
მომიყვანა მამალი.

ერთხელ მია გვესტუმრა,
ბაბუამ თქვა: – რა ვენათო?
ბებიამ თქვა: – სასწრაფოდ
მამლაუინწა დავკლათო.
ჰოდა, ეს რომ გავიგე,
მამალს ხელი დავავლე
და ბებოს უხუმრად
კარადაში დავმალე.

მერე იცით, რა მოხდა?
ბებომ შიშით იკვილა...
იმ სულელმა მამალმა
კარადაში იყვილა.

მხატვარი
მალხაზ კუხაშვილი

ჭაი, დედასა

ავთანდილ გურგენიძე

ჭაი დედასა, დედასა...
ეს ქორი რამდენს ბედავსა:
წიწილა აღარ იკმარა,
თავს დასტრიალებს დედალსა.
გაბრაზდა ბაბუაჩემი,
დაჯანგულ ფილთას ხეხავსა.




დახი და კარსეკლავები

ელენე სალარიძე

პატარა დანომ რომ ნახა,
ცა, ვარსკვლავებით სავსე,
იკითხა, ეს ნათურები
ვინ აზიდაო ცაზე,
ან ღამდამობით ვინ ანთებს,
რომ ციმციმებენ ასე?!





მხატვარი ა. კანდელაკი

კოკლოზინა

ქეთევან ჭილაშვილი



დედამ ჩაიზე ნამცხვარი შემოიტანა.
 — რა მაგარია! — ცერი შემართა გიას მამამ და მეორე ნაჭერი გადაიღო.
 — არაფერიც, მაგარი ქვაა, ეს კი რბილია და კოკლოზინა, — სიამოვნებით ისმუსნებოდა ნამცხვარს გია.
 — გეთანხმები! — შეცბა მამა, — ნამცხვარი მართლაც ფაფუკია, პირი ჩავიკოკლოზინე.
 — შეგერგოთ, შეგერგოთ, — ხარობდა დედა.

სიზმრების ვარსკვლავი

რუსუდან კუხაშვილი

თუ გინდა, ერთმანეთი გავიცნოთ, სანამ დაიძინებ, ღამით მალლა ცაზე აიხედე და იქ მნახავ. არა, მთვარეზე კი არ გეუბნები, აი ამ ხის წვერს ააყოლე თვალი. კიდევ, კიდევ... ეგ კი არა, მაგის გვერდით ბრჭყვიალა ვარსკვლავს ხომ ხედავ? აი, მეც!.. გამარჯობა!..

მე მხიარული სიზმრების ვარსკვლავი მქვია. საკმარისია, სულ ცოტა ხნით შემომხედო და ჩემი წითელი ფაჩუჩები ნახო, რომ ისე ტკბილად დაგეძინება, ისეთ ღამაზე სიზმრებს ნახავ, რომ ვიცი, ხვალაც აუცილებლად მომძებნი. ხომ იცი, სადაც ვიქნები?.. ჰოო, ზუსტად მაგ ხის ზემოთ! დაიმახსოვრე?.. აბა, ტკბილად დაიძინე. გოცნი. ხვალამდე!!!



მხატვარი მალხაზ კუხაშვილი


და ნაირ-ნაირები

სწრაფლთა სწოვნება

დელფინებზე ნადირობა აკრძალულია.

დელფინები ცურავენ ძალიან სწრაფად, დაახლოებით 50 კმ/სთ სიჩქარით; შეუძლიათ ჩაყვინთვა 200 მეტრის სიღრმეზე და წყალში 15 წუთს გაჩერება.

დელფინები (Delphininae)
სამეფო – ცხოველები
ტიპი – ქორღიანები
კლასი – ძუძუმწოვრები
რიგი – ვეშაპისნაირნი
ქვეოჯახი – დელფინები



დელფინები, მათი ცხოვრების წირი და ბიოლოგიური თავისებურებანი ჭეშმარიტად დიდი გამოცანაა ოკეანისა. ამ ცხოველების შესწავლამ მრავალი აღმოჩენითა და გამოგონებით გაამდიდრა მეცნიერება და ტექნიკა.

ცნობილია, რომ დელფინების ოჯახი მოიცავს დაახლოებით 50 სახეობას, რომელთაგან 4 მდინარის დელფინია. ისინი ბინადრობენ ოკეანეებში, ზღვებში, მდინარეებში. ცხოვრობენ ჯოგებად, სადაც ყველა ერთმანეთის ნათესავია. მათ მეტად ერთგული მეგობრობა იციან — არასოდეს მიატოვებენ დაჭრილ ან ავადმყოფ თანამოძმეს, ერთობლივად ებრძვიან ზვიგენებს.

ოჯახი შეიძლება შედგებოდეს ასობით და ათასობით დელფინისგან.

დელფინის სიცოცხლის ხანგრძლივობა 40 წელს აღწევს, თუმცა ზოგიერთ რეგიონში ისინი მხოლოდ 10-20 წელს ცოცხლობენ.

დელფინის მაკეობა 10-დან 12 თვემდე გრძელდება; უმეტესად 1 ნაშიერს შობენ, მათ რძით კვებავენ და 1 წლამდე მფარველობენ.

იკვებებიან თევზით, მოლუსკებით, იშვიათად კიბოსნაირებით. დელფინი დღეში 33კგ-მდე თევზს მიირთმევს.

დელფინს აქვს იუმორის გრძნობა და შეუძლია ემოციის გამოსატყა.

თანამედროვე მეცნიერებაში არსებობს ფსიქოთერაპიის მეთოდი — დელფინოთერაპია, რომელიც ადამიანისა და დელფინის კონტაქტზეა დაფუძნებული. მეთოდი მოიცავს თამაშებსა და სახალისო გასართობებს, რასაც სპეციალისტი ადევნებს თვალს. ხშირად ეს მეთოდი გამოიყენება ისეთი ბავშვების სამკურნალოდ, რომლებიც დაავადებული არიან ცერებრალური დამბლით, ადრეული აუტიზმით და ა. შ.

დელფინს ღრმად არასოდეს სძინავს. მორიგეობით ფხიზლობს მისი ტვინის ხან მარცხენა, ხან მარჯვენა ნახევარსფერო, რაც საშუალებას აძლევს, დროდადრო წყლიდან ამოყვინთოს და ჰაერი ჩაისუნთქოს.




იცი თუ არა, რომ...

როგორც დადასტურდა, დელფინები ერთმანეთთან თავიანთ ენაზე საუბრობენ. მათი ენა შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად: ჟესტურ ენად (სხვადასხვა პოზა, ხტომა, ცურვის მრავალსახეობა, მიმიკები, კუდის, თავის მოძრაობა) და ხმოვან ენად (ხმოვანი სიგნალები — ჭიკჭიკი, კივილი, კრაჭუნი, ჭრიალი, წრიპინი, ღრიალი, კივილი, სტვენა...). დელფინების „ლექსიკური მარაგი“ 14000 ხმოვან სიგნალს მოიცავს.

ამერიკელმა მეცნიერებმა გამოიკვლიეს, რომ დელფინებს სახელებიც ჰქვიათ და დაძახებაზე ეპასუხებიან თავიანთ თანამოძმეებს.

დელფინებს, თუთიყუშის მსგავსად, შეუძლიათ ადამიანის მიერ წარმოთქმული სიტყვების გამეორებაც.




დელფინს შეუძლია თავისი თავი ამოიციოს სარკეში.

ძველი ბერძენი მწერლები დელფინებს წმინდა ცხოველებად მიიჩნევდნენ და მათს გონებას ადამიანისას ადარებდნენ. ბევრს არ სჯეროდა დელფინების ასეთი გონიერება, მაგრამ როცა ადამიანმა მათი შესწავლა დაიწყო, დარწმუნდა, რომ ეს მართალი იყო.


დელფინი და ადამიანი ფიზიოლოგიურადაც ძალიან ჰგვანან ერთმანეთს: ორივე სუნთქავს ფილტვებით, ორივეს ორსარქველიანი გული აქვს, ერთნაირია მათი ტვინის მასაც. დელფინებიც და ადამიანებიც თბილსისხლიანები არიან და სხეულის სიგრძეც თითქმის ტოლი აქვთ — 1,5—2 მეტრამდე (თუმცა, არსებობს სახეობა, რომლის სხეულის სიგრძე 10 მეტრს აღემატება). ამასთან, ორივეს სხეულის ტემპერატურა 36.6 გრადუსია.


დელფინებს არა აქვთ ყნოსვა, მაგრამ ადამიანის მსგავსად არჩევენ ტკბილ, მწარე, მარილიან და მჟავე გემოს.



დელფინების განვრთნა ადვილია. სხვა გარეული ცხოველებისგან განსხვავებით, ისინი სახიფათო არ არიან; უყვართ ადამიანებთან, განსაკუთრებით ბავშვებთან თამაში, ნავის ირგვლივ და სერფინგის დაფის ქვეშ სრიალი. დელფინებს ხშირად დახრჩობისგან გადაურჩენიათ ადამიანი და უვნებლად გამოუყვანიათ ნაპირზე. ისინი ეხმარებიან მეთევზეებს და ატყობინებენ, როდის ივსება ბადე თევზით. სახიფათო ადგილებში დელფინები გემებს წინ მიუძღვიან და რიფებს შორის გზას უჩვენებენ. ერთხელ ასეთ დელფინს რომელიღაც მგზავრმა თოფი ესროლა და დაჭრა. ამის შემდეგ დელფინი-ლოცმანი იმ არემარეს აღარ გაჰყარებია. მეზღვაურებმა მას ნაპირზე ძველი დაუდგეს.

ადამიანები დელფინს წვრთნიან სამხედრო მიზნითაც, ნალმების, ჩაძირული გემების, ნყალქვეშა ნაგების აღმოსაჩენად...





მხატვარი
ელენე ვარამაშვილი



ქართული - კლასიკური ხელოვნება

მოგზაურობა პირველი

ქვეყნად უამრავი ადგილია, რომელთა ნახვაც ოცნებად გვექონდა და გვაქვს გადაქცეული. არ მეგულება ადამიანი, რომელსაც არ ეფიქროს შორეულ ვენეციაზე, ეგვიპტის პირამიდებზე, სემირამიდას ბალებსა და სხვა მრავალზე, მაგრამ სულ სხვაა შენი სისხლის ყვილი, რომელიც გეძახის, საშველს არ გაძლევს, გიხმობს, რომელიც ყველაზე ახლოსაა და მისასვლელად ყველაზე შორია. დღეს ამ ხმას ტაო-კლარჯეთისკენ მივყავართ, ჩვენი მამულის ან უკვე დაკარგულ და გაუნელებელ ტკივილად ქცეული ადგილისკენ, სადაც ჩვენი მოდგმისა და ჯიშის ხალხი, ჩვენი ისტორია და წარსულის უძვირფასესი ლანდები გვეგულება.

პირველი მარშრუტი ასეთია: ხანძთა, შატბერდი, შავშეთი, ტბეთი, არტანუჯი, დოლისყანა. ორ დღეში უნდა მოვასწროთ ექვსი საოცრების ნახვა. და აი, გამოჩნდა სარფიც.

სარფთან სხვანაირად გიფეთქავს ქართველს გული. გადადიხარ უცხო ქვეყანაში და ფეხქვეშ ქართული მიწა გემსუბუქება. თითქოს ისიც გულში გიკრავს, გეფერება.

დღეს ჩემი ოცნების ახდენის დღეა. მივაბიჯებ ტაო-კლარჯეთის ძველისძველ ქართულ მიწაზე და მიწა ყველა ქართველის მზერით მოვეფერო ამ მშვენიერ მთა-გორებს.

მღელვარება სულ უფრო მეძალება. ვგძნობ, რაღაც განსაკუთრებული უნდა მოხდეს.


ამ გრძნობისთვის ჯერ სახელი ვერ დამირქმევია, თუმცა ხმა კი მესმის, გულისგულიდან გურ-გურით ამომავალი. ეს ხმა დიდი სიყვარულიც არის და დიდი ტკივილიც. მერე ვხვდები, რომ ეს სამშობლოს ხმაა, ულამაზესი და განსაკუთრებული სამშობლოსი.

საოცარი ბუნება გვატყვევებს, ერთმანეთს ენაცვლება მთები და მდინარეები. გზას მივიკვლევთ კანიონებისაკენ, შემდეგ – მთათა მწვერვალებისაკენ, სადაც ქართული ხუროთმოძღვრების გასაოცარი ნიმუშები გველოდება.

მივყვებით მთაგორიან ადგილებს და ფიქრი უფრო და უფრო გვეძალება. ჭოროხის წყლის ხმა შორეული საუკუნეებისაკენ გვახედებს და მთაზე დაკიდებულ ბილიკებზე ხან წმინდა ბერების ხატება გაიელვებს, ხან მათს ნაკვალევს გამოდევნებული მოგზაურებისა. ვის არ უმოგზაურია აქ.


მივუყვებით ხანძთის გზას და თითოეული ჩვენგანი საკუთარ საფიქრალში ვართ ჩაძირული. უკვე ხანძთაში ვართ. დაქცევის პირასაა ეს უზადო სილამაზე, მაგრამ მაინც შეუპოვრად ნასულა ცისკენ. აქ ლოცულობდა წმინდა გრიგოლი, აქ გალობდა, აქ თარგმნა „სანელინდო იადგარი“; აქ შექმნა წმინდა საძმო – მტკიცე და ძლიერი; ამ მიწას სახავდა ჯვარს თავისი ხელით. აქ განისვენებს. კრძალვით ვემთხვევით უწმინდეს ადგილს და ვეფერებით სიპ ქვებს.

კლარჯეთი ისტორიული სამხრეთ-დასა-



ხანძთა





ვლეთ საქართველოს ერთ-ერთი მხარეა. ის მოიცავს მდინარე ჭოროხის ქვემო დინების აუზს არსიანის ქედიდან შავ ზღვამდე, მდინარეების – იმერხევისა და არტანუჯის წყლის ხეობების ჩათვლით. კლარჯეთი შორიდანვე მოგხვდებათ თვალში კლდოვანი რელიეფით. შორს მოჩანს ტყის მასივები.

შატბერდი – ეს იყო ძვირფასი სავანე, სააგარაკოდ აშენებული და დამშვენებული, მეფეთაგან ბოძებული წმინდა გრიგოლისათვის, ეკლესიისათვის. კლარჯეთის სავანეთა შორის ეს ტაძარი განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს, მისი არქიტექტურა, სიმაღლე, სვეტების სილამაზე, მართლაც საოცარია. ამ მიწაზე დააბიჯებდა „ზეცისა კაცი და ქუეყნისა ანგელოზი“ – გრიგოლ ხანძთელი. შატბერდში ყოფნა განსაკუთრებით უყვარდა გრიგოლს; სიცოცხლის ბოლო წლები სწორედ აქ გაატარა. ხანძთა და შატბერდი უდიდეს საქმეთა წამომწყების ადგილად ითვლება ამ უმშვენიერეს კუთხეში. გვჯერა, „უდაბნოს ვარსკვლავის“ სული ახლაც თავს დაგვტრიალებს და გვეფერება.

ტყეთა მასივები, მომაჯადოებელი ბუნება ანდამატივით გვიზიდავს და სისხლის ყვილი ყოველ ნაბიჯზე თავს გვახსენებს. ხანძთაში ვნახეთ თურქ ქართველთა სახლები, რომლებსაც ხის რიკულები ამშვენებს, სწორედ ისეთი, ჩვენთან, ქართულ სოფელში რომ გვინახავს.



ერთი ქვის ამარა
დარჩენილი ხანძთა

ვუახლოვდებით ტბეთის ტაძარს. ტბეთი შავშეთის უმთავრესი სამწერლობო კერა იყო. აქ ერთ დროს დულდა ლიტერატურული ცხოვრება; ისევე როგორც შატბერდში, აქაც იწერებოდა ახალი წიგნები, ითარგმნებოდა ქართული თუ არაქართული ძეგლები, აქ გადაიწერა არაერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოები. ტბეთში მოქმედებდა მძლავრი სამწერლობო კერა, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში დიდ როლს ასრულებდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

...წინ დიდი მინდორი შემოგვხვდა გადასავლელი. მზეზე ათასფრად ელვარებს მინდორის ყვავილები. აქაც ყველაფერი ქართულია, მშობლიური და უნებურად ცრემლი გადგება თვალზე.

ტბეთის დიდებული ტაძარი X საუკუნეშია აგებული. აქ მოღვაწეობდა მღვდელმთავარი სტეფანე მტბევარი, ტბეთის ლიტერატურული საზოგადოების უდიდესი წარმომადგენელი. იგი IX-X საუკუნეების მიჯნაზე ცხოვრობდა. თავის დროზე დიდი სახელითა და ავტორიტეტით სარგებლობდა. სტეფანე მტბევარის კალამს ეკუთვნის „წამება წმინდა მონამისა გობრონისა“. აქ მოღვაწეობდნენ ცნობილი ჰიმნოგრაფები: მიქაელ მოდრეკილი, იოანე მტბევარი და სხვანი.

ერთ ეკლესიას მეორე ცვლის, მეორეს — მესამე. იკეცება და იშლება გზათა ხვეულები. ვეუფლებით სიმალეებს და უდიდესი კმაყოფილებით აღვსილნი ისევ ზევით მივმართებით.

არტანუჯი – ძველთაძველი და საოცნებო, ბაგრატიონთა სატახტო ქალაქი. აშოტ კურაპალატის მიერ დედოფლისათვის აგებული დიდებული სასახლე, ძლიერი ციხესიმაგრე, ქალაქი, ერთ დროს აყვავებული და დამშვენებული ეკლესიებით, მშვენიერი ქუჩებით, მწვანეში ჩაფლული სახლებითა და





დოლისყანა
ფრაგმენტი

ღვთიური შუქით გათენებული დღეებით, ახლა კი – მი-
ვინცებული, კარჩაკეტილი.

ორი დღით თითქოს წარსულში გადავსახლდით.
წუთიც არ გვინდა დავკარგოთ, ვცდილობთ, რაც
შეიძლება მეტის ნახვა მოვასწროთ.

ეკლესია-მონასტრების დათვალიერების დროს ინ-
ტერესით დაგვყვებოდნენ თურქი ბავშვები. მათი სახე-
ლები ჩვენსას ძალიან ჰგავდა. ვცდილობდით ერთმანეთის
გაცნობას.

არ დაგვაგინცდება არტანუჯში გათენებული ღამე, ოჯახურ სას-
ტუმროში, სადაც დიასახლისობდა შერვაშიძის ქალი, ბრწყინვალე ოჯა-
ხის პატრონი, თუმცა თურქული ოჯახისა.

შთაბეჭდილებებით აღვსილნი კვლავ სარფში აღმოვჩნდით და ერ-
თხელ კიდევ გაიარა გულში ტკივილმა – საზღვარსიქითა ქვეყანა თურ-
ქეთია, ტაო-კლარჯეთი, ჩვენი ისტორიული, მშვენიერი და უკვე დაკარ-
გული სამშობლო. ძნელია თავს გამოუტყდე, რომ ახლა ის ჩვენთვის
მხოლოდ დაუვინყარ მოგონებად უნდა იქცეს.




დალი მაზმიშვილი






იშბანი

სიყვავილის ტაჭერი




სიტყვები დარაზმული მიდიოდნენ სკოლისკენ, მაგრამ მოულოდნელად ჯაჭვი ჩანყდა და ასოები უთავბოლოდ დაიფანტა. შეეცადე ყველა თავის ადგილას დააბრუნო.






იპოვე 12 განსხვავება



პრინცესა
ლიზი



მომავალი
მოდელი



სწავლა დაიწყო

ჟურნალი „დილა“ კონკურსისთვის მიიღებს სიუჟეტურ ფოტოებს. კონკურსის პირობები იხილეთ facebook-ის გვერდზე – საბავშვო გამომცემლობა დილა

ღიღუღავ



თქვენი ჰაცაოუჭისთვი!

ყდაზე ნახატი: ნანა სანაიასი
გამომცემელი: ააიპ საბავშვო მწერლობის განვითარების ასოციაცია
ტელ.: 272-97-67; 293-69-77
<http://www.dila.ge>, ელ-ფოსტა: dila1904@yahoo.com
ფასი: 2 ლარი

ქუთაისის განყოფილება
"საქართველოს ფოსტის" მეშვეობით